

# ცვლილებები საბადასახადო კოდექსში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა

**ახალმა ხელისუფლებამ წინასაარჩევნო დაპირებების შესაბამისად, საკანონმდებლო ბაზის, მათ შორის, რეოლუციურად მონათლული საგადასახადო კოდექსის დახვეწა და სრულყოფა დაიწყო. საგადასახადო კანონმდებლობას ცვლილებები და დამატებები არც ყოფილი ხელისუფლების დროს აკლდა, თუმცა ერთის მხრივ, უშუალოდ საგადასახადო კოდექსში შეტანილმა გაუაზრებელმა ცვლილებებმა, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს მთავრობის დადგენილებებმა, ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებულმა კანონქვემდებარე აქტებმა, რომლებიც ასევე მუდმივ ფერიცვალელებს განიცდიდა, უფრო გააუარესა, დაამძიმა და გაართულა გადამხდელის მდგომარეობა.**



სულიკო ფუტყარაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის აპარატის უფროსი, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

ახალი ხელისუფლების მეცადინეობის პირველი შედეგი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ავტორობითა და ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 20 და 28 დეკემბერს მიღებულ კანონებში (NN 118-ს; 189-რს) აისახა. აღნიშნულმა კანონებმა გარკვეულწილად დახვეწა მოქმედი საგადასახადო კოდექსით დადგენილი დაბეგვრისა და ანგარიშგების მექანიზმები; აღმოფხვრა სხვა სფეროს ნორმატიულ აქტებთან ტერმინოლოგიური შეუსაბამობები; საგრძნობლად შეარბილა საგადასახადო სამართალდარღვევებისთვის განსაზღვრული მეტად მკაცრი ნორმები; შეამცირა საერთაშორისო პრაქტიკით დამკვიდრებულ ნორმებთან შედარებით საგრძნობად მაღალი ფინანსური სანქციების შკალა და დაადგინა მათი ოპტიმალური, მისაღები ოდენობა; ცალკეული ჯარიმა/სანქცია გააუქმა კიდევ; რაც მთავარია, გაიმართა, გასაგები გახდა საგადასახადო კოდექსში არსებული ის ორაზროვანი და ბუნდოვანი დებულებები, რომლებიც მათი არასწორი ინტერპრეტირებისა და არამართლზომიერი კვალიფიკაციის საფუძველს ქმნიდა.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან ყველაზე შთამბეჭდავი დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებაა.

ამიერიდან, ფიზიკურ პირებს, რომელთა მიერაც ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლება ეძლევათ ამ შემოსავლიდან (წლის განმავლობაში) გამოქვითონ დაუბეგრავი მინიმუმი 1800 ლარის ოდენობით, რაც შესაბამისი გათვლით, თვეში 150 ლარს შეადგენს და იგი გავრცელდება იმ ფიზიკურ პირებზე, რომელთა თვიური ხელფასი 500 ლარს არ აღემატება. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ შეღავათით სარგებლობის უფლება აღნიშნულ ფიზიკურ პირებს ექნებათ არა უშუალოდ ხელფასის მიღების მომენტში, არამედ წლის შედეგებით (თუ ისინი დააკმაყოფილებენ ზემოთაღნიშნულ პირობას - მათი ხელფასი წლის განმავლობაში არ გადააჭარბებს 6000 ლარს).

აღნიშნული ფორმითა და შინაარსით დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებამ საზოგადოებაში, მათ შორის, ექსპერტთა და სპეციალისტთა წრეში, გარკვეული კითხვები დაბადა, კერძოდ: რატომ შეეხო შეღავათი მხოლოდ „ხელფასის სახით მიღებულ დასაბეგრ შემოსავალს“ და რატომ არ უნდა გავრცელდეს იგი იმ მენარმე, თუ გადამხდელად რეგისტრირებულ ფიზიკურ პირზე, რომელიც თვითდასაქმებული არიან და მათი შემოსავალი წლის განმავლობაში არ აჭარბებს დათქმულ - 6000 ლარიან

ზღვარს? ხომ არ არის ეს მორიგი სატყუარა, რასაც წინამორბედი ხელისუფლებაც PR-ისთვის იყენებდა? რამდენად რეალურია, ქმედითი თუ მკვდრადმობილი მუხლია და ა.შ.

საქმე იმაშია, რომ დაეჭვების, ყოველშემთხვევაში, კითხვის დასმის საფუძველი ნამდვილად არსებობს. **ჯერ ერთი**, ამ შეღავათით აქამდე არავის უსარგებლია, არც ფაქტობრივი მასშტაბებია ცნობილი და არც შეღავათით სარგებლობის პრაქტიკა გამოცდილი. ეს ყველაფერი წლის დასრულების შემდგომ გამოჩნდება. **მეორე**, შეღავათი ავტომატურ რეჟიმში კი არ იმოქმედებს, არამედ შეღავათით სარგებლობის მსურველმა (პრეტენდენტმა) პირებმა უნდა მიმართონ შესაბამის სტრუქტურას წერილობით (დეკლარირებით), ამტკიცონ, რომ სხვა წყაროებიდან შემოსავალი არ მიუღიათ და მოიპოვონ გადახდილი თანხის დაბრუნების უფლება. ცხადია, წლის განმავლობაში სახელმწიფო გამოიყენებს დასაქმებული პირიდან საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებულ თანხას და სარგებელს (ფულის ღირებულებას დროში) დაუბრუნებს მის გამომმუშავებელ პირს.

რა თქმა უნდა, ეს ჰგავს და არც ჰგავს შეღავათს, მაგრამ მისით მოსარგებლე პირი, ნებისმიერ შემთხვევაში, მატერიალურ მდგომარეობას გაიუმჯობესებს. აქ, სათუოდ მხოლოდ ისაა, რომ დასაქმებულთა

## გადასახადები და დაზღვევა

ის კატეგორია, რომლის ხელფასის სახით მიღებული წლიური შემოსავალი არ გადააჭარბებს 6000 ლარს, არ გამოირჩევა განსაკუთრებული აქტივობით, კვალიფიკაციით, გავლენით. მათი უმეტესობა ვერ ერკვევა საგადასახადო კანონმდებლობაში და შეიძლება ვერც კი გაიგოს ასეთი შეღავათის არსებობის შესახებ, ან თუ გაიგო, სათანადოდ ვერ განახორციელოს შემდგომი პროცედურები.

მოკლედ, სახელმწიფო არც ერთ შემთხვევაში არ იზარალებს.

კარგი და მთავარი ისაა, რომ ხელისუფლებამ დაიწყო მოქალაქეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ზრუნვა. ვიმედოვნებთ, მთავრობა ამ მიმართებით კვლავაც გააგრძელებს მუშაობას, შესაბამისად, ეს ნორმა მომავალში კიდევ უფრო დაიხვეწება და იგი უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს.

საგადასახადო კოდექსში გადამხდელისთვის არასასიამოვნო ცვლილებაც განხორციელდა, კერძოდ, **საკითხი ეხება საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთის ძალაში დატოვებას, აგრეთვე დივიდენდებისა და პროცენტებიდან მიღებული შემოსავლების დასაბეგრი განაკვეთების შემცირების ნორმების ამოღებას (სსკ-ის გარდამავალი დებულებების ძველი რედაქციის თანახმად, საშემოსავლო გადასახადი მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 18%-მდე უნდა შემცირებულიყო, ხოლო დივიდენდებსა და პროცენტებზე განსაზღვრული განაკვეთი მთლიანად უნდა განულებულიყო), თუმცა ასეთი გადამხდელი უნდა იყოს მთლიანად უნდა განულებულიყო.**

კიდევ უფრო მასშტაბური და არსებითი ხასიათის ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო კოდექსში „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის (NN 189-რს) კანონით, აღნიშნული ცვლილებების მასშტაბურობიდან გამომდინარე, მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ მათგან მხოლოდ ზოგიერთ მნიშვნელოვან და არსებით საკითხებზე.

ამ ცვლილებების შესაბამისად ახალი რედაქციით ყალიბდება სსკ-ის მე-4 მუხლი - „ხანდაზმულობის

ვადა“. აღნიშნული მუხლის ახალი რედაქცია მოქმედ რედაქციასთან შედარებით საკმაოდ ვრცელადაა წარმოდგენილი (იგი 11 პუნქტისგან შედგება, ყოფილი რედაქცია კი მხოლოდ 4 პუნქტს მოიცავდა), რომლის შესაბამისადაც **ზუსტდება საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის, გადასახადის დარიცხვის, სანქციის დაკისრების და გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი, დგინდება ხანდაზმულობის ვადები საგადასახადო შემონეშებასა და საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე.** აღნიშნული მუხლის ახალი რედაქციის შესაბამისად, მინიშნება კეთდება იმაზე, რომ გადასახადის გადამხდელისათვის, მარეგისტრირებული ორგანოსათვის, ან საბანკო დაწესებულებებისთვის, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად ამ კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების შესახებ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის ხანდაზმულობის ვადად განისაზღვრება 6 წელი, რომელიც აითვლება ამ დავალიანების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან (პუნქტი 9), ამასთან, აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა ჩერდება (პუნქტი 10):

ა) პირის გადახდის უუნარობის შესახებ განაცხადების წარმოებაში მიღებაზე სასამართლო გადაწყვეტილების, აგრეთვე გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების, რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან, შესაბამისი რეჟიმის დასრულებამდე;

ბ) „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, პირის საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურის პერიოდში;

გ) საგადასახადო დავის პერიოდში.

ამავე მუხლის ახალი - 11 პუნ-

ქტის შესაბამისად დგინდება აგრეთვე, რომ:

„11. საგადასახადო ორგანოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას ამ მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები არ გამოიყენება.

აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე უქმდება სსკ-ის 239-ე მუხლის მე-8 ნაწილი და მე-9 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლებიც ზემოთაღნიშნულ ნორმებს არეგულირებდა და ახალი რედაქციით ყალიბდება საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მე-9 ნაწილი. აღნიშნულის შესაბამისად ქონებაზე დადებული ყადაღა უქმდება ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

„ადგილობრივი გადასახადის დაწესება, შემოღება, მისი გადახდის პირობების შეცვლა და გადასახადის გაუქმება“ სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის ყოფილი რედაქციის შესაბამისად - მინაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო ოდენობა დგინდებოდა კოდექსით დადგენილი ზღვრული მოცულობის ფარგლებში საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის შესაბამისად, გადასახადის ოდენობას ადგენს მხოლოდ კანონი, აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის მიზნით ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 და 204-ე მუხლის პირველ ნაწილებში, რითაც პრაქტიკულად აღმოიფხვრა ზემოთაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი.

„სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებდა სააღსრულებლო დაწესებულების განმარტებას, დღეის მდგომარეობით არ არსებობს „სააღსრულებლო დაწესებულების“ ცნება, თუმცა აღსრულება ხორციელდება აღსრულების ორგანოს მიერ. სსკ-ის მე-8 მუხლის 29-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში ტერმინი „სააღსრულებლო დაწესებულება“ იცვლება ტერმინით „აღმასრულებელი ორგანო“.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კანონის შესაბამისად განხორციელებული დაზუსტება, რაც განხორციელდება საგადასახადო კოდექსის



**99-ე მუხლის (იურიდიული პირების მოგების გადასახადისაგან განთავისუფლება) პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტებში, რომლის შესაბამისადაც, მოგების გადასახადისგან განთავისუფლება ეხება, მიღებული მოგების საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო საქმიანობაში რეინვესტირებას.**

მოქმედ საგადასახადო კოდექსში კი აღნიშნულ ვადაზე საერთოდ არ კეთდებოდა მინიშნება, შესაბამისად ყველა, -მაკონტროლებლებიც და გადამხდელებიც თვლიდნენ, რომ ეს შეღავათი იმ შემთხვევაში მოქმედებდა, თუ მიღებული მოგება იმავე წელს იქნებოდა გამოყენებული რეინვესტირებისთვის, რაც ცხადია გარკვეულ გაუგებრობას იწვევდა. საქმე იმაშია, რომ თუ არ დაასრულებს გადასახადი გადამხდელი საანგარიში წელს და არ დაადგენს რა მოცულობის მოგება ექნება მას, როგორ შეძლებს შესაბამისი თანხის მიმართვას რეინვესტირებაზე.

ცვლილებების შესაბამისად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, ზუსტდება, რომ ფიზიკური პირისთვის (რომელსაც არა აქვს გადასახადის გადამხდელის მოწმობა) ქონების უსასყიდლოდ გადაცემისას გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულება არ წარმოეშობა, თუ ამ პირის მიერ ამავე ფიზიკური პირისთვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონების ღირებულება 1000 ლარს არ აღემატება.

კოდექსის ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ახალი რედაქციით სწორდება ის უხერხულობა, რაც აქამდე

არსებობდა მოქმედი კოდექსის აღნიშნულ დებულებაში, რომელიც გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოში დაქირავებულისთვის განაცემების გაცემის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვადას მომდევნო თვის 14 რიცხვის ჩათვლით ითვალისწინებდა. არადა, განაცემების გაცემისა და საშემოსავლო გადასახადის დაკავების შესახებ შესაბამისი დეკლარაციის წარდგენის ვადად კოდექსი არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვს ითვალისწინებს.

ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად მიგვაჩნია იმ უსამართლობის აღმოფხვრა, რასაც ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსის 254-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებდა, კერძოდ, სადავო საგადასახადო დავალიანების გადახდევინება ხორციელდებოდა საქალაქო (რაიონული) სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ფარგლებში (არდაკმაყოფილებული სარჩელის ნაწილში) და გადახდევინების უზრუნველსაყოფად შესაძლებელი იყო გამოყენებულიყო მესამე პირზე გადახდევინების მოქცევა, საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა, გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება და ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია, ეს უკანასკნელი კი მესაკუთრის საუთრების უფლების ხელყოფის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა, იდენად, რამდენადაც მესაკუთრეს, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ (არდაკმაყოფილებული სარჩელის ნაწილში) აუქციონის წესით გაუყიდდნენ ქონებას, შემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადა-

ხდელის მიერ სარჩელის მოგების შემთხვევაში მას ველარ უბრუნებდნენ, რადგან აუქციონზე შეძენილ ქონებას პატიოსანი მყიდველი უკან არ აბრუნებდა. ეს ყველაფერი კი, საკუთრების უფლების დარღვევის კლასიკური მაგალითია.

კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საგადასახადო სამართალდარღვევათა ნორმებში, ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებებით ხელისუფლებამ დაპირებები გარკვეულად შეასრულა, თუმცა საზოგადოება ალბათ კიდევ უფრო მეტს მოითხოვს.

მოქმედი საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლის - საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევისთვის ყოფილი რედაქცია 200 ლარზე ნაკლებ ჯარიმას არ ითვალისწინებდა. ახალი რედაქციით კი იგი ოთხჯერ შემცირდა და იგი ახლა მხოლოდ 50 ლარს შეადგენს.

ცვლილებების შესაბამისად 500 ლარიდან 200 ლარამდე შემცირდა ჯარიმები, რომლებსაც მოქმედი საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილი - მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა, აგრეთვე სსკ-ის ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმა - მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმა გამყიდველის მიერ ჩეკში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენება.

სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმა, რომელიც ყოფილი რედაქციით სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებისათვის, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა 1000 ლარის ოდენობით ითვალისწინებდა, შემცირდა 500 ლარამდე. ამავე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა (ნაწილი 3) აღნიშნული საგადასახადო სამართალდარღვევის მე-3 და ყოველ მომდევნო განმეორებაზე 15 000 ლარის ოდენობით ამოღებულია.

**გადასახადები და დაზღვევა**

ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა სსკ-ს 289-ე მუხლით - „საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული ჯარიმები“, კერძოდ კი:

საგადასახადო საგადასახადო კოდექსის ყოფილი რედაქციის შესაბამისად, პირის მიერ საქონლის ნარდგენის/ზოგადი დეკლარირების ვადის, ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა იწვევდა პირის დაჯარიმებას ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 100 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 500 ლარისა. (აღნიშნული ნორმა არ გამოიყენება, როდესაც საქონლის დეკლარირების ვადის დარღვევა იწვევს სასაქონლო ოპერაციის პირობების დარღვევას. პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების უმეტესობა მოდის ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტის განმხორციელებელ პირებზე მსუბუქი ავტოსატრანსპორტი საშუალებების მფლობელებზე), აღნიშნული ჯარიმები საბოლოო ჯამში, მათ ბიზნესს მძიმე ტვირთად აწვებოდა.

ცვლილებებით აღნიშნული ჯარიმები ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა, კერძოდ კი, პირის მიერ საქონლის ნარდგენის/ზოგადი დეკლარირების/დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის ახალი რედაქციის შესაბამისად გამოიწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 50 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 000 ლარისა.

ცვლილებებით ასევე გარკვეულად „გაკეთილშობილდა“ საგადასახადო კოდექსის ამავე მუხლის (289-ე) მე-10 და მე-11 ნაწილებიც, რომლებიც ყოფილი რედაქციის შესაბამისად - საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა, ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად იწვევდა პირის დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას, ან/და საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვას 1 წლის ვადით. აღნიშნული სა-

მართალდარღვევის განმეორებით ჩადენა კი იწვევდა ვალდებული პირის დაჯარიმებას საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით, ან უამისოდ, ან/და საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვას 1 წლის ვადით.

სსკ-ის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის ყოფილი რედაქციის თანახმად, საქართველოს საბაჟო საზღვრზე ფიზიკური პირის მიერ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონლის გადატანა, ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, ან მისგან მალულად - იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ან/და ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას, ან/და საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვას 1 წლის ვადით.

ცვლილების შესაბამისად, ისევე როგორც, სსკ-ის 289-ე მუხლის მე-10 - მე-11 ნაწილების შემთხვევაში, აღნიშნული სამართალდარღვევისთვის უქმდება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვა, როგორც სანქციის ერთ-ერთი სახე.

ფინანსური სანქციების შერბილების კუთხით ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სსკ-ის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის 2013 წლის 1 იანვრიდან 0,06 %-მდე შემცირება.

სსკ-ში შეტანილი ცვლილებებით მნიშვნელოვნად იცვლება **საგადასახადო შეთანხმების გაფორმების კოდექსით გათვალისწინებული რეგულირების ნორმები**, როგორც წესი, ამ ნორმების შესაბამისად,

**P.S.** თითქოს აქვე უნდა დაგვემთავრებინა ჩვენი სტატია, მაგრამ ვფიქრობთ უმადურობა გამოგვივდოდა ხაზგასმით, რომ არ აღვნიშნოთ ის დადებითი ძვრები რაც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შეინიშნება გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ადმინისტრირებასა და განსაკუთრებით კი გადამხდელთა საგადასახადო დავების განხილვის საქმეში, როგორც ფინანსთა სამინისტროს გადამხდელთა საგადასახადო დავების განხილვის საბჭოს, ისე თვით შემოსავლების სამსახურის მხრიდან. პირდაპირ და ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ განსხვავება თვაშისაცემია, ხელისუფლება პრაქტიკულად ამართლებს გაცხადებულ კურსს, რომ გადამხდელსა და სახელმწიფოს შორის პარტნიორული ურთიერთობა უნდა ჩამოყალიბდეს. თუმცა, ხარვეზები ამ მიმართებით კვლავაც არსებობს და ჩვენ ცხადია, შორსა ვართ იმ მოსაზრებისგან, რომ საქმე გვაქვს იდეალურ საგადასახადო სისტემასთან, თუმცა ახალი ხელისუფლების მიერ ამ მიმართებით გადადგმული ნაბიჯები ოპტიმისტურად განწყობის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ გადამწყვეტილებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნაცვლად, ლებულობს საქართველოს მთავრობა.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა სსკ-ის 309-ე მუხლის 58-ე ნაწილი, რომლითაც რეგულირდებოდა ფიზიკური პირებისთვის (გარდა შემოსავლების მიღების მომენტში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა) ან არარეზიდენტი სანარმოებისთვის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი შემოსავალი მიეკუთვნება საქართველოში არაზედიდენტის მუდმივ დაწესებულებას) 2012 წლის ბოლომდე აუნაზღაურებელი პროცენტები, რომლებიც ხარჯის სახით გამოქვითული იყო 2006-2010 წლების საგადასახადო პერიოდებში საგადასახადო მიზნებისთვის ანაზღაურებულად ჩაითვლება და შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადებით დაიბეგრებოდა 2012 წლის ბოლოსათვის, ისინი წლების მიხედვით 2012 წლიდან 2015 წლის ბოლომდე გადანაწილდა და გადამხდელს ეს ტვირთი ერთიანად 2012 წლის ბოლოს აღარ დააწვიათ.

სსკ-ის 309-ე მუხლს ემატება 59-ე ნაწილი, რომლის თანახმად, საგადასახადო კოდექსის 123-ე მუხლით განსაზღვრული სუსტი კაპიტალიზაციის მარეგულირებელი დებულებები გავრცელდება 2013 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე (ყოფილი რედაქცია კი აღნიშნულს ითვალისწინებდა 2012 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე).